**№ 552.** კვირა, 7 ივნისი. 1896—1898 კვირა, 7 ივნისი, **№ 552.**

**სტამბა და რედაქცია:**
ტფილისი, სასახლის ქუჩა, სათავად-აზნაურო ქარვასლა.
...ელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ ...ედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და ...ღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამ. საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას.
...ომოუწერავ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს.
...ირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველ-დღე.
ტელეფონი № 363.

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

**გაზეთის ფასი**
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპეიკი.
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი ...
მეოთხეზე 4 კაპ.

Типографія и Редакція
„ЦНОБИСЪ ПУРЦЕЛИ“
Тифлисъ, Дворцовая д. Дворянства
**Телефонъ № 363.**

## ქართული თეატრი

**კვირას, 7 ივნისს**

...ართულ თეატრის აქტიორებისაგან წარმოდგენილ იქნება საზოგადოების თხოვნით მეორეთ ახალი პიესა (შესწორებული)

I

# არკადიას სადილი

სცენები ჩვენის ვაჭრების ცხოვრებიდან 3 სურათად.

II

# ადამ და ევა

ვოდ. 2 მოქმ. გად. დ. მესხის მიერ

...ონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. რჩეულოვისა, გალუსტოვისა, ბ.ბ. ადა...იძე, საფაროვი, გალუსტოვი, თამაზოვი, ხიმშიაშვილი, გიორგიძე და სხ.

**დასაწყისი $8\frac{1}{2}$ საათზე**

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

ვისაც პარტერის ბილეთი ექნება, იმას ანტრაქტების დროს ბაღში უფასოდ შეუშვებენ.

...ბეჭდება და 15 თიბათვისათვის მზად იქნება გასასყიდად ახალი წიგნი:

# თ. ილია ჭავჭავაძე

ბიოგრაფიული და კრიტიკული ეტიუდი

წერილი პირველი

**მეგახლავარ**-ისა

...იგნი ეღირება **20** კაპ. წიგნების მაღაზიის პატრონებს ვსთხოვთ, ეხლავე ...შეგვატყობინონ, რამდენის ცალის დაბარება ჰსურთ. ნაღდ ფულად წიგნი ...დაეთმობათ 12 კაპ., კომისიით დაეთმობათ 20%. წინადვე დაბარება ...მისთვის იქნება საჭირო, რომ ავტორი 20 თიბათვეს ტფილისიდგან ...ავა სოფლად.

ადრესი: „ივერიის“ რედაქცია, შარაძეს. გარდაეცეს ბ-ნს მეგახლავარს.

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში იყიდება ახალი წიგნი

# ლექსები

თხზ. განდეგილისა, ავტორის სურათით. ფასი ათი შაური (გაგზავნით ...თერთმეტი შაური). ვინც ათ ცალს დაიბარებს, წიგნი ცხრა შაურად და...ეთმობა, ოც-და-ხუთ ცალზე მეტი—ორ აბაზად. (5—1)

# პანსიონი და სასწავლებელი დიდებულიძისა

ღებულობს ბავშვებს მოსამზადებლად ამ ზაფხულშიც. სურვილისამებრ დედ-მამისა, შეიძლება დიდ სიცხეებში ბავშვები იყოლიონ სოფელში, რომელიც შემკობილია ჩინებული ჰაერით, წყაროს წყლებით და სადგომით.

იკითხეთ: მიხეილის ქუჩა სახ. № 146.

Училище и пансіонъ **Дидебулидзе**

Михайловская ул. № 146. (150—149)

## შპალერების საწყობი

# ი. გ. მელიქიშვილისა

ტფილისი, სასახლის ქ. სათავ.-აზნ. სახლი № 102

ყოველთვის იშოვება მრავალი ხარისხის შპალერი

**ფასი ყველაფერზე იაფია**

შპალერი თვითო ნაჭერი **8** კაპ. მოყოლებული 20 მანათამდე

ოთახ-დარბაზების მოსართავი და გასწყობი სამკაულები.

**Депо обоевъ**

# І. Г. МЕЛИКОВА

Тифлисъ, Дворцовая ул., д. Грузинскаго Дворянства (бывш. Арпруни) № 102, около муз. магаз. ЛАНКО. (100 14)



## „ბავშვების მოკეთის“

შესახებ.



აუარებელი გამამხნევებელი წერილები მშობლებისა და მასწავლებლებისა და მარჯვედ ყიდვა ამ წიგნისა მაიძულებენ მეორე გამოცემა დავიწყო და ვსთხოვ ყველას, ვისაც-კი გული ერჩის სამშობლო საყმაწვილო ლიტერატურისათვის, მომაწოდონ თავიანთი შთაბეჭდილებანი და შენიშვნები ამ წიგნის შესახებ. ყველა შენიშვნას სულითა და გულით მივეგებები. მიწერ-მოწერა შეიძლება ან ჩემს სახელობაზე სათავად-აზნაურო სკოლაში, ან „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში.

**წიგნი „ბავშვების მოკეთე“ მოწონებული და სახელმძღვანელოთ დადებულია მთავრობის მიერ.**

ეს წიგნი იყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში.—სოფლის მასწავლებლებს იაფად დაეთმობათ, ე. ი. უყდო 20 კაპ., ყდიანი 25 კაპ., თუ პირდაპირ ჩვენგან გამოიწერავენ.

ადრესი: Тифлисъ. Типографія Хеладзе, для передачи учителю Натадзе.

(50—16) პატივისცემით **ალ. ნათაძე.**

!!ყველას საგულისხმოდ!!

31 მაისიდან **მცხეთის** სადგურის მახლობლად 200 საჟენის მანძილზე (ბექანოვის საგარაკოში)

**სასეირნო ბაღი**

# არმაზი

ბაღში იქნება მუდმივ ევროპიული და ადგილობრივი **საჭმელ-სასმელი.**

ავდრებისა და უამინდობის დროს ბაღში გამართულია **ფარდულები და ოთახები.**

ეზოში მშვენიერს აუზში სასმელი წყალია წყაროდგან,

ცოცხალი თევზები

**ყველაფერი იაფად**

მშვიდობიანობა და სიწყნარე ყოველთვის დაცული იქნება.

(40—6) ქ. ჩხარტიშვილი

# ექიმი

ე. მ. ჩიქოვანი

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 11—12-მდე და სადამოს 7 8 საათ.

მიხეილის ქუჩა, № 16.

Д ктор **К. М. Чиковани**

Михайлов., № 16.

სამკურნალო და ამბულატორია

# ს. ზ. თოფურიასი

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: **შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.**

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან:

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ზ. თოფურია.** საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს **ფ. კ. ზერრატი.**

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოზანი.**

20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r **ф. ბაცევიჩი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. კ. ვარშავსკი.**

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საექიმო და საბაქტეროლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და საქისთვის.

სამკურნალოს დირექტორი **ს. ზ. თოფურია.**

*Лъчебница С. В. Топуріа* въ Кутаисѣ.

გამოვიდა და იყიდება ქალაქის ყველა მაღაზიებში და ეკკლესიებშიაც

ცხოვრება

**ქალწულ მოწამისა და მოციქულთა სწორის**

# თეკლესი

(სურათით)

გამოცემა მორჩილის **რ. ბარამიძისა**

**ფასი ერთი შაური** (10—6)

# ახალი ამბავი

*** **თავ. კ. ი. მუხრან-ბატონი** გამგზავრებულა პეტერბურგში, პეტერბურგიდამ ის წავა ბერლინში, სადაც ინახულებს თავისს ნათესავს თავ. გიორგი დ. შერვაშიძეს, რომელსაც გამოჩენილი პროფესორი ლეიდენი ექიმობს.

*** **ახალი ჯურის გაიძვერობა.** ბევრი უცნაური და გაუგებარი რამ ხდება ჩვენს დალოცვილ ტფილისში, მაგრამ ის-კი დაუჯერებელია, რაც გუშინ გვიამბო რედაქციაში ერთმა დარბაისელმა კაცმა.

საქმე ის არის, რომ ამ უკანასკნელ ხანებში ვიღაც შუბლ-გარეცხილი ვაჟბატონები დადიან სხვა-და-სხვა საპატიო პირებთან და ოჯახებში და ათას-ნაირის თვალთმაქცობით და გაიძვერობით ფულებსა სტყუებენ.

ერთხანად, თურმე, ყალბი სია შეუდგენიათ და ჩვენი სახელოვანი პოეტის აკაკის ავადმყოფობის დროს ფულს აგროვებდნენ ვითომ-და მის სასარგებლოდ...

მერე ჩვენი არტისტების ვ. აბაშიძის და ვლ. ალექსი-მესხიშვილის სასარგებლოდ აგროვებდნენ ფულებსა.

შემდეგ წერილების გზავნა დაუწყვიათ ზოგიერთებთან, ვითომ-და ნაცნობი ფულსა სთხოვდეს.

ეხლა-კი სულ გასაოცარი ხერხი უგონიათ! თურმე წერილები დაუწერიათ, ვითომ-და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოება ამა და ამ პირს საპატიო წევრად ირჩევს და ამისათვის გადასცემ ამავე ბარათის მომტანს ამდენი და ამდენი (იმისდა მიხედვით, რა შეძლების კაცს ატყუებენ) ამ საოცარ ბარათზედ ვითომ-და ხელს აწერენ თავმჯდომარე ილია ჭავჭავაძე, ბანკის მდივანი(?!) პავლე ყიფიანი და ვალ. გუნია!..

ჩვენ თვითონ ვნახეთ ეგ ყალბი წერილები და ხელის-მოწერა, რომელნიც მიმსგავსებულნიც-კი ვერ არიან რიგიანად. ვნახეთ აგრეთვე ის დარბაისელი ქართველი, რომლისათვისაც ზემოხსენებულის წერილით ფული დაუტყუებიათ და სწორედ ძლიერ გავკვირდით.

გავკვირდით ჯერ იმაზე, თუ სადამდინ მიაღწევს ხოლმე ადამიანის სისაძაგლე და რაებს არ მოიგონებს გაიძვერული ბუნება ზოგიერთისა, ხოლო უფრო გაგვაკვირვა იმ საწყალობელ გულ-უბრყვილობამ, რომლის წყალობით დღემდე დაფარფაშობენ ზემოდხსენებულის საქმის ჩამდენნი.

განა ყველაფერი უნდა დაიჯეროს კაცმა? ის დალოცვილები

ტფილისში-კი არა, სადმე პოპაკანეთში სცხოვრობდნენო—რაღაც ყალბ ფარატინს მიუტანენ და ისინიც ისე ენდობიან ამ ფარატინს, თითქოს იგი ბეჭედ დასმული საბუთი იყოს!..

ჩვენი საზოგადოება მაღალი თუ დაბალი რომ ცოტათი მაინც ფხიზელი იყოს, ყ ვლად შეუძლებელი იქნებოდა ზემოხსენებული ვაჟბატონების ოინები და საზოგადოდ არც ეგრე უკან ჩამორჩენილნი და დაძაბუნებულნი ვიქნებოდით.

*** **ქართული წარმოდგენა.** დღეს სათავად-აზნაურო თეატრში ქართული წარმოდგენაა დანიშნული. არდგენენ „არკადიას სადილს“—სამ მოქმედებიან ხუმრობას ქარვასლელი ვაჭრების ცხოვრებიდგან და მხიარულ ვოდევილს „ადამ და ევას“. როგორც პირველად, ამ წარმოდგენაზე ბევრი ბილეთები იყიდება, განსაკუთრებით ვაჭრები და ნოქრები ეტანებიან.

*** **ქართველი მოწაფენი კადეტთა კორპუსში.** ჩვენ ნამდვილის წყაროდან შევიტყეთ, რომ წელს ტფილისის კადეტთა კორპუსში სწავლა დაუმთავრებიათ 35 მოწაფეს და მათ შორის მხოლოდ შვიდი ქართველი ყოფილა, რაც შეადგენს მეხუთედ ნაწილს მოსწავლეთა მთელი რიცხვისას.

*** **კურს-დამთავრებულნი ქართველნი სახელოსნო სასწავლებელში.** წელს სახელოსნო სასწავლებელში გამოცდა გათავდა 3 ივნისს და კურსი დაამთავრა სულ 24 მოსწავლემ, მათ შორის 9 ქართველია: ვ. ახობაძე, თავ. ვ. გაჩეჩილაძე, შ. ელიაძე, ს. ისაკაძე, ი. კერესელიძე, მ. კერესელიძე, ი. კოპალაძე, ი. მამულაიშვილი და ნ. ფილია. 8 რუსმა და 7 სომეხი.

ხელობის უკეთესად შესწავლისათვის უნდა დარჩნენ, ვიდრე მიცემულ სამუშაოს გაათავებენ.

*** **საეჭვო საჭმელ-სასმელები.** ჩვენს კურთხეულ ტფილისში ჩამოცხება თუ არა, მაშინვე ქუჩებში გაჩნდება ხოლმე სხვა და სხვა გასაგრილებელი საჭმელ-სასმელები. მაგალითად ხშირად შეხვდება კაცი ეგრედ წოდებულს „მაროჟნის“ ანუ გაყინულს რძე-შაქარს, რომელსაც ზოგს წითელი ფერი აძევს და ზოგს ყვითელი. ახლა ვინ იცის, თუ სად ან როგორს ჭურჭელში ამზადებენ ან რა საღებავით უცვლიან ფერს! თუ სოლოლაკის საკონდიტეროში აღმოჩნდა მავნე წამლები, ვგონებთ, ქუჩა-ქუჩა რომ დააქვთ უფრო საეჭვო და მავნე იყოს.

გარდა ამისა რაღაცა წითელი ყინულიანი სასმელები დააქვთ და ჰყიდიან. ურიგო არ იქნებოდა, რომ ქალაქის მეთვალყურე ექიმებმა ყურადღება მიაქციონ ამ საეჭვო საჭმელ-სასმელებს.

*** **ტელეფონის სადგურის განცალკევება.** როგორც ვუწყით ტფილისის ტელეფონის სადგური აქამდის ქვემდებარებოდა ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ახლოს, მხოლოდ ეხლა, მთავრობის განკარგულებით, იგი განცალკევებული იქმნება, ესე იგი, მისი მართწარმოება ჩააბარეს სატელეგრაფო ინსტიტუტში კურს-დამთავრეეულს ტეხნიკოსს ბ. ჩინნოის დღიდგან თუ ვისმეს რამე ესაქმება ტელეფონის შესახებ, უნდა მიჰმართონ ბ. ჩინნოის. გარდა ამისა თვით სადგურზედ მოსამსახურეთა რიცხვიც გამრავლებულ იქმნა, რადგან აწინდელნი მოხელენი სიცოტავისა გამო, ვერ ასწრობდნენ ტელეფონის აბონენტების მოთხოვნილებას დაკმაყოფილებას. ეხლა ტფილისის ტელეფონის აბონენტა რიცხვი უკვე 520-მდე ავიდა. და თუ მხედველობაში მიიღებს იმას, რომ ზოგს ერთს მავთულზედ ანუ ნომერზედ ორი ტელეფონი უდგას, მაშინ რიცხვი ტელეფონებისა თითქმის შვიდასამდე მიაღწევს.

*** **ახალი დანიშნულებანი.** დანიშნულ იქმნენ: ქუთაისის საოლქო სასამართლოს პროკურორის ამხანაგი ლუჩინსკი კოვნოს მომრიგებელ-მოსამართლედ; სენაკის მომრიგებელი მოსამართლე გოსნევსკი—ქუთაისის თავად-აზნაურთ დეპუტატების კრების წევრად; ტფილისის ოლქის სასამართლოს სამოსამართლო გამომძიებელი დანილოვი—ტფილისის მომრიგებელ მოსამართლედ.

*** **სამსახურიდან დათხოვნა.** დათხოვნილ იქმნენ: ტფილისის ოლქის სასამართლოს წევრი თავ. თუმანოვი ავადმყოფობის გამო; საბებიო ინსტიტუტის დირექტორი არტემიევი თხოვნით.

*** **პროგიმნაზია ოზურგეთში.** „ნოვ. ობ.“-ეს პეტერბურგიდან დეპეშით აუწყებენ, რომ სახალხო განათლების სამინისტროს საჭიროდ უცვნია დაარსებულ იქმნეს ოზურგეთში სავაჟო პროგიმნაზია, იმ პირობით, რომ სკოლის შესანახი ხარჯები ნახევრობით ადგილობრივმა საზოგადოებამ იკისროს. რამდენადაც ვიცით, ქ. ოზურგეთი ჰპირდება პროგიმნაზიას უფასოდ სახლის შოვნას და ყოველ წლიურ სუბსიდიას. ოზურგეთის ქალაქისთვის განზრახვა აქვს დაახმაროს საქმეს სოფლის საზოგადოებანი.

*** **კახეთის რკინის გზის ბედი.** გზათა მინისტრი,. როგორც გაზ. «Сынъ от.»-ას გაუგონია, დიდი თანაგრძნობით მოჰკიდებია შუამდგომლობას კახეთში რკინის გზის გაყვანის შესახებ, რომლის შუამდგომლობაც მისთვის ამ დღეებში წარუდგენიათ. ახალმა რკინის გზამაო, დასძენს აღნიშნული გაზეთი, უნდა გადასჭრას სიღნაღისა და თელავის მაზრები, რომლებსაც დიდი ბუნებრივი სიმდიდრე აქვთო.

*** **ტეხნიკურ სასწავლებლის მოწაფეთა უფლებანი.** რკინის გზის ტეხნიკურ სასწავლებელთა მოწაფეებს, რომლებსაც კურსი დაუმთავრებიათ ამ სასწავლებელში, როგორც ისმის, ნება მიეცემათ ორი წლის პრაქტიკის შემდეგ ეკზამენი მოიხადონ გზათა სამინისტროს ტეხნიკოსების წოდებაზე იმ მოწაფეთა თანაბრად, რომელთაც რეალურსა და სხვა საშუალო სასწავლებელში დაუმთავრებიათ კურსი.

*** **სამეურნეო კრებები.** მიწადმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში, როგორც ისმის, აღძრულია კითხვა იმის შესახებ, რომ გუბერნატორებს ნება მიეცეთ მოიწვიონ ხოლმე დროგამოშვებით სამეურნეო კრებები.

*** **მკურნალობა რკინის გზაზე.** ამიერ-კავკასიის რკნის გზაზე 1897 წ. ყოფილა: ექიმი 15, ფერშალი 38, ბებია ქალი 1, საავადმყოფო 2, საწოლი 170, ქსენონი 8- სადგურების ავადმყოფი 4847, ამბულატორიის ავადმყოფი და შინ მწოლარე 67,279 წლიურად დახარჯულა მკურნალობისათვის 132,495 მან. იმავე წლის განმავლობაში მკურნალთათვის მიუმატებიათ 1 ექიმი და 7 ფერშალი. წელს კიდევ მიუმატებიათ 1 ექიმი და 5 ფერშალი.

*** **სახალხო თეატრი ქუთაისში.** ქუთაისში დაიბადა აზრი სახალხო თეატრის დაარსების შესახებ. ამ საგნისათვის გასულ თვეში შესდგა ცალკე წრე ინტელიგენტთაგან, რომელიც უკვე 30 წევრს შეიცავს საწევრო გადასახადი 3 მანეთია. წარმოდგენებს დაიწყებენ სათანადო ნებართვის აღების შემდეგ. ხსენებულ წრის წევრთაგან საგანგებო არჩეულ სათეატრო კომიტეტს განზრახვა აქვს შუამდგომლობა აღძრას ქალაქის საბჭოს წინაშე იმის შესახებ, რომ ამ საგნისათვის თვეში ერთხელ მაინც დაეთმოს ხოლმე მათ ქალაქის თეატრი ხმა დადის, თითქო ქალაქის ჰპირისუფალთ განზრახვა ჰქონდეთ არ შეიწყნარონ შუამდგოლობა; ასეთი განზრახვის მიზეზად კი იმას ასახელებენ, რომ ქალაქის თეატრი 16,000 მანეთად დაუჯდა, რომ ვალი ჯერ კიდევ გადაუხდელია და რომ ამის შესახებ უკვე დადგენილია, არავის უსასყიდლოდ არ დაეთმოს თეატრი.

*** **ს. ეწერი** (გურია). **საქონლის გაჭირვება უწყლობით.** ეს სოფელი რაც გაშენებულია თუთხმეტი წელიწადი იქნება, წარმოადგენს მშვენიერ ვაკე ადგილს და მდებარეობს ქ. ოზურგეთის დასავლეთისკენ ორი ვერსის სიშორეზე. თუმცა ეს სოფელი ნაქებია ქაის წყლებით, მაგრამ საქონლისთვის ძლიერ უსარგებლოა და დიდ გაჭირვებაში არიან ზაფხულობით. მართალია აქ ჩამოდის ერთი პატარა ღელე (საკეცია), მაგრამ ზაფხულობით სრულიად შრება, მაშინ უნდა უყუროთ თუ რა რიგად დაყიალებენ მინდვრებში საქონლები წყურვილის გამო. ეს საცოდავები დილიდგან საღამომდი უნდა ეყარონ სადმე ჩრდილში და ან პატრონმა უნდა გაუწიოს დახმარება და ამოზიდოს წყალი ჭიდგან, რომლებსაც ოთხხუთ საჟენამდი სიღრმე აქვს. დაესახლნენ ამ ადგილზე მცხოვრებლები თუ არა, მაშინვე ბევრი საპატიო პირები შეუდგნენ ამ სოფელში წყლის გამოყვანის საქმეს და აქამომდე ვერ მიახწიეს თავიანთ სურვილსა უკანასკნელად ამ ბოლო წელს, როგორც იყო საქმე სისრულეში მოიყვანეს და წყალიც იყიდეს მდ. ნატანებიდამ, რომელიც ამ სოფელს ჩამოუდის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მაგრამ ერთმა მოხუცებულმა იჩინა თავი და ეს კეთილი სისრულეში არ მოაყვანინა. კარგი რამ გიკვირდეს, ავი რა საკვირველია.

კახურელი

*** **დ. ოჩამჩირე. ქურდობის მოსპობა.** ქურდობა თითქმის მოისპო. სამურზაყანოს ნაწილის უფროსმა ბ. ლისოვსკიმ არმც თუ ქურდობა დაანელა, არამედ, უსაქმოდ მოხეტიალე ხალხი საქმეს შეაჩვია და შეაყვარა. სამი წელიწადი არ არის რაც ეს კაცი განწესებულია სამურზაყანოს უფროსად და ამ მოკლე ხნის განმავლობაში მან თავისი დიდი დაასვა მისდა სასახელოდ და მცხოვრებთა საკეთილ-დღეო სამურზაყანოს; ყოველგან მშვენიერი გზები გააკეთა. თავად-აზნაურობა, თითქოს იმათთვინ არ ყოფილიყოს საჭირო გზა, მონაწილეობას არ იღებდა გზის კეთებაში. ეხლა თავადი, აზნაური გინდა გლეხი სულ ერთია სუყველამ უნდა აკეთოს ან და თავის მაგიერ კაცი უნდა დააყენოს ამ გვარად მშვენიერი გზა გაიყვანა ოქუმიდან გუდევამდე და სხვა მრავალი წვრილი გზებიც მშვენივრათ დაამბოლოვა. მხოლოდ მთავარი გზა ზუგდიდიდან სოხუმისკენ მიმავალი ფულმაც ვერ გააკეთა, თუმცა საზოგადოებამ ბლომად შესწირა ამ საქმეს ფული.

იმედია ბ-ნი ლისოვსკი ამ გზასაც რასმე უშველის.

ხორშელი

*** **ლაგოდეხი. მკვლელობა.** 3 ივნისს ნაშუაღამევის პირველ საათზედ მოკლულ იქმნა აქაური ღარიბი მოვაჭრე ალექსა ქიტესოვი მახლობელ სოფელში მცხოვრებელ ლეკებისაგან. ეს საბრალო ქიტესოვი დუქნის დაკეტის შემდეგ თავის ცოლ-შვილთან წასულიყო მოსასვენებლად იქვე მახლობლად თავის საკუთარს სახლში როცა სახლში ყველას დასძინებოდა, ქიტესოვის უფროს თავის ვაჟის მეტს, შემოსულან ლეკები რომელნიც შესვლისათანავე მივარდნილან მძინარე ქიტესოვს და ყელი გამოეჭრათ; მერმე მისულან ცოლთან, რომელსაც იქვე სძინებოდა; გაალვიძეს და უთხრეს: დაუყონებლივ მოგვეცი, რაც ფულები გაქვთო.

ცოლმა უთხრა: მე ერთი კაპეიკიც არა მაქვს, და იქმნება ჩემს ქმარს ჯიბეში აქვ გავაღვიძებო; მისულა ქალი ქმართან და ხედავს, რომ საწყალი ყელ გამოჭრილი სისხლიში ცურავს უდროოდ დაქვრივებულმა ქალმა, რასაკვირველია, შექმნა წივილ-კივილი; ხმაურობაზედ მოცვივდნენ პოლიცია და აქაური საქვეითო ჯარის მორიგი აფიცერი, მაგრამ მკვლელები უცბად გაიპარნენ.

ქიტესოვის ფხიზელმა ვაჟმა, რომელსაც ამ ხმაურობაში სრულებით არ ეძინა, დაწვრილებით უამბო ყველას მთელი შინაარსი ამ უბედურობისა და განაცხადა კიდეც, რომ მე იმათ სამივეს ვიცნობ, მხოლოდ სახელი და გვარი არ ვიციო, სწორედ, ისინი არიან, რომლებსაც აქ გასასყიდად ურმებით შეშა შემოაქვთო. მაშინვე ზომები იქმნა მიღებული მათ საპოვნელად, ავაზაკები მეორე დღეს დილა ადრიან შეიპყრეს კიდეც სამივე ლეკი [illegible] უჩვენეს, მაშინვე იცნო და [illegible] ლი [illegible]: ესენი არიან სწორედ მამაჩემის მკვლელები და ის მესამე კი არ მინახავსო; თუ მაჩვენებთ მე იმასაც ვიცნობო. ის ორი იმ წამსვე გაგზავნილ იქმნა საპატიმროში: გამოძიება სწარმოებს...

საბრალო ქიტესოვს დარჩა ცოლი და ხუთი მცირე წლოვანი ქალვაჟი და ერთიც გასათხოვარი, რომლებსაც საბრალო კაცი დღით-დღე თავისი შრომით ძლივს არჩენდა. ასეთი შემთხვევა ძალიან ხშირია აქეთკენ.

ანტონ ჰაგნელი

*** **ს. ზემოხეთი** (გურია). ჩვენ-
ში ცხოვრობს ერთი საწყალ-
გლეხკაცი ო. ჰ--ა მოგეხსენებ-
სოფელში გლეხკაცს არავითარ-
სწავლა არა აქვს, და ასი ათას-
ერთს იშვიათია თავის სახელი
გვარის მოწერა იცოდეს. ერთ-ერ-
ამისთანა გლეხთან მივიდნენ ორ-
ახალგაზდები მიუტანეს ყალბ-
გაკეთებული ქაღალდი და ბორო-
გამზრახველებმა უთხრეს: ხარებ-
გაყიდვა გვინდა და თუ ძმახარ
ქაღალდი დაგვიმოწმეო; გლეხ-
როგორ მოისაზრებდა რომ მატ-
ყუებენო და ამიტომ აიღო
დაჰკრა სახელმწიფო ბეჭედი,
ღვთისა და კაცის მოღალატეებმ-
გამოართვეს ქაღალდი უკან
რომელიც თურმე თორმეტი თუ-
ნის თამასუქი იყო და გახარებუ-
ლები დაბრუნდნენ თავიანთ სახლ-
ში.

გავიდა რამოდენიმე ხანი
ყმაწვილები გამოცხადნენ გლეხთან
და დაუწყეს ფულის თხოვა. გლე-
ხი გაშეშდა და უთხრა, კაცო
ფულიაო, ან როდის ვისესხე თქვენ-
გან რა მმართებს და რა უნდა მო-
გცეთო; „რა მოგვცე და ფული
რომელიც გმართებსო!“ ამოიღე-
და უჩვენეს თამასუქი. რადგან ხე-
ლის მოწერა არ იცოდი ეს ბეჭე-
დი შენ თითონ არ დაჰკარიო? სა-
ყალი გლეხი დიდათ შესწუხდა
ბევრიც ემუდარა; თქვე ოჯახ აშ-
ნებულებო მაინც არაფერი მებად-
და ეხლა სულ უნდა დამღუპოთო
შეხედეთ თქვენ ღმერთს ნუ მიშ-
რებით ამ საქმესო! მაგრამ მ
ხვეწნა-მუდარამ ამაოთ ჩაიარა,
რალოს გამოუცხადეს: თუ არ მო-
ცემ, უთუოდ უნდა გიჩივლოთ
სულ ერთია ძალათი გადაგახდევ-
ნებო და სხვ.

სასურველია ამგვარ ვაჟბატონ-
ბის თვალთმაქცობას დროითი ბო-
ლო მოელოს, თორემ სულ ერთი-
ნად გარყვნიან სოფელს.

მ. თევზაძე

*** **დ. აბაშა** (სამეგრელო)
**ფოსტის უფროსის გადაყვანა.** ჩვე-
დაბაში ბევრი ცვლილება მოხდ-
ამ მოკლე ხანში: აბაშის ნაწილ-
ბოქაულს უფროსი ალაგი მისც-
და აქედან გადაიყვანეს.

ყველასაგან საყვარელი ფოჩტ-
უფროსი აქსენტი ისიდორეს
ბაბილუა გადაიყვანეს სამტრედი-
ში. ნორმალი სკოლის მასწავლ-
ბელი ბ-ნი სალაყაია ფოთმა მოგ-
ტაცა ქალაქის ბოქაულად; ა

...რომ სულ ახალ-ახალი მოხელეები მოდიან ბ-ნი აქსენტი ბაბილუა უწორეთ რომ კარგი და პატიოსანი კაცი იყო აბაშისათვის და, ყველას სიყვარულით მოაგონდება მისი ზრდილობიანი სიტყვა-პასუხი და გულ-კეთილობა რისთვისაც პატივისცემით და სიყვარულით გააცილა აბაშის საზოგადოებამ ოცდა თერთმეტ მაისს.

ბან-დონ

*** **დ. სურამი. კვართისის ეკკლესიის შესახებ.** კვართისის ეკკლესია არის ძველიდგან აღშენებული სურამის მახლობლათ, დასავლეთით, წმიდის მთავარ-მოწამის გიორგის სახელზე. ეს ეკკლესია ამაყად დასცქერის მაღლობიდან სურამ-ხაშურს და სხვა სოფლებს. ამ ეკლესიის დღეობად დაწესებულია ამაღლების დღესასწაული, რა დღესაც აქ იკრიბებიან დიდძალი გლეხები, არა მარტო მართლმადიდებელნი, არამედ სხვა სარწმუნოების აღმსარებელნიც: სომეხნი თათარნი და სხვ. ზემოქართლის სხვა ეკკლესიებთან შედარებით, სადაც დიდი დღეობები იციან აქ ყველაზე უმეტესი ხალხი იყრის თავს. აქვე ამ დღეს გამართულია, მიკიტნების მეწვრილმანებისა, ოქრო და ვერცხლეულების მკერელისა და სხვა და სხვა სავაჭროების დუქნები; აქ იმართება აგრეთვე ფალავანების ჭიდაობა. მხოლოდ სამწუხარო ის არის, რომ ეკკლესია ფრიად უნუგეშო მდგომარეობაშია, მასში ვერსად ადგილს ვერ შოულობენ სანთლის ასანთებათაც კი. ეკკლესია არის პატარა, თითქმის უკარო, ჩამოფრცქვნილი შიგნით და უსუფთაო გარედან; შიგ მარტო ერთი ხატი ასვენია, ისიც უშანდლო; შიგნით კედლებზე წაიკითხავთ ნაჯღაბნს კარანდაშით, აქვე ჰყრია ღვინის ტიკებში ზედაშის ჩასასხმელად შემომწირველთაგან; აქ მამალი შემოყავთ ყვირილით, არის კიჟინი ეკკლესიაში: ეს კურატი შემიწირეთო, ეს ცხვარი, ეს თვალიო და სხ. რაღაც მანქანებით ეკკლესიის შემოწირულებანი და სხვა შემოსავალი (მაგალითად დუქნებიდან, რომლებიც იჯარით იცემა არ ხმარდება ეკკლესიას, რომლის გაუმჯობესებაზე არავინ ფიქრობს ამ ეკკლესიას წელიწადში ორჯელ მეტად არ ეღირსება წირვა, რადგან [illegible]ი ეკკლესია აბარია მღვდელს [illegible]ელ დიდი მრევლით.

ერთი ვინმე

*** **მარტვილი** (სამეგრელო). **მადლობა შემოწირულებისათვის.** ამას წინად ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსი გრიგორიმ გადმომცა მე მარტვილის უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს შესაწევნად ერთი სურათი ხელმწიფე იმპერატორი ნიკოლოოზ ალექსანდრეს ძისა და მასთან სამოცი ქართულ-რუსული წიგნები ამასთანავე მარტვილის ორ კლასიან სამრელო სკოლის წიგნთ-საცავის შესაწევნად ოცდა ათი ქართულ-რუსული წიგნები. ეს ხსენებულნი კუთვნილებისამებრ გარდავეცი გამგეთა, რომლებმაც მადლობა მოახსენეს ეგეთი შეწევნისათვის ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსს გრიგორის.

დიაკონი გრიგორი გეგეჭკორი

*** ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების გამგეობამ მიიღო 1898 წლის მაისის თვის განმავლობაში.

1, საწევრო ფული.

ა) დამფუძნებელის წევრების:

| | მ. |
|---|---|
| 1, კნ. სოფიო ვასილის ასული ამირაჯიბისაგან . . | 28 |
| 2, თ. ივანე ზაალის ძე ბარათაშვილისაგან . . . . . | 20 |

ბ) ნამდვილის წევრების .

| | |
|---|---|
| 1) მარიამ ივანეს ასულის დემურიასაგან . . . . . | 6 |
| 2) ივანე ივანეს ძე ზურაბიშვილისაგან . . . . . | 6 |
| 3) ივანე ნიკოლოოზის ძე მაჭავარიანისაგან . . . . | 6 |
| 4) სოფრონ ზაქარიას ძე მგალობლიშვილისაგან (ნაწ.) | 3 |
| 5) დიმიტრი გიორგის ძე ნაკაშიძისაგან . . . . . | 6 |
| 6) ეკატირინე ივანეს ასული პავლოვისაგან (ნაწილი) | 3 |
| 7) ნოე ჟორდანიასაგან . | 6 |
| 8) თეოფინე მიხეილის ძე რუსიაშვილისაგან . . . . | 6 |
| 9) იორდანე გიორგის ძე სიხარულიძისაგან . . . . | 6 |
| 10) ვახტანგ დავითის ძე ლამბაშიძისაგან . . . . . | 6 |
| 11) ყარამან მანუჩარის ძე ჩიქოვანისაგან . . . . . | 6 |
| სულ | 108 მ. |

2, ყულაბებით შეგროვილი ფული

| | მ. კ. |
|---|---|
| 1, ალექსანდრე გვერდწითლისაგან . . . . . . | 9—42 |
| 2, აბე. იაშვილისაგან . | 13—66 |
| 3, დეკ. დიმიტრი ხახუტაშვილისაგან . . . . | 5—90 |
| 4, კნ. მარიამ ჯავახიშვილისაგან . . . . . . | 9—50 |
| სულ | 38—48 კ. |

3, შემოწირულებანი საქველმოქმედო ბაზრისთვის

| | მ. |
|---|---|
| 1, ზაქარია გიგაძისაგან . . | 1 |
| 2, ხოს. გოგინოვისაგან . . | 1 |
| 3, გიორგი ზარიძისაგან . . | 1 |
| 4, გიორგი ზუკაკაშვილისაგან | 3 |
| 5, პავლე ყუშიტაშვილისაგან | 3 |
| 6, იაგორ ყუშიტაშვილისაგან | 3 |
| 7, სანდრო წამალაშვილისაგან | 1 |
| სულ | 13 მან. |

4, საზოგადოების აგენტის თომა აბრამის ძე მთავრიშვილისაგან 10 მ.

საზოგადოების გამგეობა დიდს მადლობას უძღვნის ფულის შემომწირველთ და აგრეთვე ო. გოგრიჩიძეს, რომელმაც შემოსწირა საქველ მოქმედო ბაზრისთვის მშვენიერად ნაკერი ბალიში.

## სასამართლოს მატიანე

**ილ. ადუაშვილის საქმე.** 5 თიბათვეს ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილებამ ხალხის და-უსწრებლად, განიხილა საქმე ს. ხოვლეს (გორის მაზრა) მცხოვრების გლეხის 19 წლის ილიკო ადუაშვილსა, რომელსაც ჰბრალდებოდა ნადეჟდა ვაიზოვის ქალზე ძალ-დატანება და მისგანვე ძალაობით ფულიანი პორტმანის მოტაცება. სასამართლომ ადუაშვილი დამნაშავედ აღიარა და მიუსაჯა: აეყაროს ყოველივე ღირსებანი და გაგზავნილ იქმნეს ციმბირში.

## თეატრის მატიანე

ქართული წარმოდგენა საქველმოქმედო საგნით. კვირას 31 მაისს, ქართულს სცენის მოყვარეთაგან, ლეხაინრავო-ნაჯახოვის სამრევლო სკოლის დარბაზში, გამართული იყო წარმოდგენა; არდგენდნენ „რაც არ მერგება არ შემერგება“ და „მონადირე“ თითო მოქმედებიანი ვოდევილები ვალერიან გუნიასი, შემოსავალი გადადებული იყო ამავე სკოლის სასარგებლოდ, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, ადგილობრივი მდაბიო ხალხი, ძალიან გულ-გრილად მოიქცა ამ საქველ-მოქმედო საგნის შესახებ და მკვიდრთაგანი არავინ, არ დაესწრო წარმოდგენას, ესეც კია რა მათი საქმე იყო წარმოდგენაზე დასწრება და ორიოდ გროშის შეწევნა ისევ თავიანთი შვილების სასარგებლოდ? წარმოიდგინეთ, მკითხველო, რომ ერთი აქაურ გლეხთაგანი, იმასაც კი აპირობდა, რომ მიხტომოდა მოთამაშეებს, რომ სკოლის შენობიდგან გამოეყარნა, და ამითი ჩაეშალა ეს კეთილი საქმე, შეწეობის მაგივრად, —„მე მეკუთვნის ეს „კლასსი“ და შიგ ცხრა აბაზი მირევია, როგორ მივცემ ნებას, რომ ჩემი სოფლის კლასსი დაანგრიონ და შიგ ვიდაცეებმა ასკინკილა ითამაშონო?? აი ამისთანა უვიცი და გაუგებარი პირები ურევია ამ საზოგადოებაში; მაგრამ მიუხედავად ყველა ამ დაბრკოლებათა და მუქარათა, წარმოდგენამ უკეთესად ჩაიარა, რადგანაც მოსალოდნელი იყო და ხალხიც საკმაოდ დაესწრო, რომელნიც შეადგენდნენ უფრო გარეშე სოფლების მასწავლებლებს და მაღალ წოდების პირებს, მაგალითად: დაბა ხონიდგან, ნაოდალაევიდან, ბანძინიდან და ონოღიადან, რომელნიც დიდად ნასიამოვნები წავიდნენ. წარმოდგენიდან სულ შემოვიდა 14 მან. და 80 კაპ., რომელიც უნდა მოხმარდეს სკოლის, სხვა და სხვა საჭიროებას.

ამასთანავე საჭიროდ მიგვაჩნია მადლობა გამოუცხადოთ უფროს მეაბრეშუმეს ბ-ნ ი. გ. ქუთათელაძეს, რომლის მეოხებითაც შედგა წარმოდგენა და რომელმაც დეკორაცია, ფარდები და პ„რის მოსაწყობი (გრიმიროვკა) ამოიტანა დ. ხონიდან თავის ხარჯით, აგრეთვე ხონის ნორმალური სასწავლებლის მასწავლებელს ბ-ნ ი. ამაღლებელს და ხონის ქალთა სასწავლებლის მასწავლებელ ქალს ქ-ნ ნ. მარიამ გრიგოლის ასულს, რომელთაც მხურვალე მონაწილეობა მიიღეს; პირველმა სცენის გამართვა მოწყობაში და მეორემ მოუმზადებლად იკისრა სუფლიორობა, და თავის საქმე პირნათლად შეასრულა.

თუმცა წარმოდგენის დაწყებამდე გამოუცხადეს ხალხს (აქაურებს) რომ წარმოდგენა უფასოდ იქნება და დაესწარითო. მაგრამ აქაურებმა ყურიც არ გაიბერტყეს და ყველა თავის სახლში წავიდა, მიუხედავად იმისა, რომ იმ საღამოს ეკკლესიასთან „ჯვარიანობა“ იყო გამართული და აქაური ქალი და ყველა აქ იყო, აი, ამისთანა ხალხს მოდი და წაუკითხე თავზედ სახარება.

ივანე ხანდამაშვილი

## ყურმოკრული საუბარი

მოხერხებული პასუხი. ერთს ოსსა ჰკითხეს: რა უფრო გირჩევნიაო ქათამი, ღვინო, ქადა თუ ქალიო.

ოსი ცოტას დაფიქრდა და ასე უპასუხა: ქადმა ქადა-ქათამი მარანში ჩამომიტანოსო.

## სამეცნიერო ცნობა

მიწის დამუშავება და გადაკეთება. ადამიანი იმისათვის მუშაობს მიწას, რომ იცხოვროს. სადმე მიყრუებულ სოფელში რომელიმე გლეხს ფიქრადაც არ მოუვა, რომ მისი და მის მეზობლების მუშაობა ცვლის და ასხვაფერებს არა მარტო მის ადგილს, არამედ მთელი დედა მიწის ზედა პირს. ხოლო მიწის მუშა აი როგორ ასხვაფერებს დედა-მიწის ზედა პირს. ტყისაგან განთავისუფლებული და რამდენჯერმე დახნული მიწა იფხვნება (ფხვიერდება) და მაზე ადვილად მოქმედებს წყალი და ქარი: ქარს გააქვს იგი მტვრად, წყალს კი მიაქვს მისი ზედა ნაწილი რუებსა და მდინარეებში, რომლებიც ივსებიან მითი, ან-და ნაპირებიდან გადადიან და ჰფარავენ არე-მარეს. ადამიანი კი მუშაობს დედა-მიწის ზურგზე აუარებელ მიწას: გამოანგარიშებულია, რომ ამ ჟამად სამუშაო მიწა დედა-მიწას უდრის ერთ მილიონ ოთხ-კუთხ ვერსს, ანუ მთელი ხმელეთის მეათედ ნაწილს. თუნდ არ ვიანგარიშოთ დასამუშავებლად მეტად უვარგი ადგილები, მაგალითად: ძალიან ცივი, ანუ ქვიანი ადგილები, დედამიწაზე თავისუფალი ადგილი მაინც ძალიან ბევრია. მაგრამ ადამიანები ყველგან ერთნაირად როდი ცხოვრობენ: ერთ ადგილას ისინი ვიწროდ არიან, მეორეგან-კი ხალვათად. ძველ დროში ყველა ხალვათად ცხოვრობდა და თვითეული ვაცი იმდენ მიწას ხნავდა, რამდენიც უნდოდა; მაშინ ადამიანი ჯერ სხოლოდ სულ უბრალო იარაღებს ხმარობდა და შრომა—მუშაობაც სულ უბრალო წესით იცოდა; თუ ერთგან მიწა გამოფიტდებოდა, ადამიანი ახალ მიწას მოსძებნიდა და ასე გადადიოდა ერთი ადგილიდან მეორეზე. ასეთი მეურნეობა თავის დროზე თითქმის ყველგან ერთნაირად იყო; მრავალი ქვეყანა იმის წყალობით სრულიად გაოხრდა; ასე იყო მცირე აზიასა და არაბეთში, ასეა დღემდინაც ბრაზილიაში: იქ ახლაც სთესენ ჩვეულებრივ ერთ ადგილზე იმიმდე მანამდე, სანამ ნიადაგი სრულიად არაფერს გამოსცემს. ასეა რუსეთშიაც და ჩვენშიაც, სადაც შავი-მიწაც-კი ფიტდება, რომელიც უწინ საუცხოვო მოსავალს იძლეოდა. ამასობაში კი ადამინები სულ უფრო და უფრო მრავლდებიან და მიწა სულ უფრო და უფრო აკლდებათ. გაჭირვებისაგან თავის დასახწევად მრავალი ხალხი გადის სამშობლოდან ახალ ადგილებზე დასასახლებლად.

მაგრამ ყველა როდი გაურბის ვიწროობას თავისუფალ მიწების საძებრად ადამიანები მეტად ეჩვევიან იმ ადგილებს, სადაც უცხოვრიათ მათ წინაპრებს, სადაც თვითონ დაბადებულან; მათ ძალიან შეჰყვარებიათ ის მიწები, რომლებიც თავიანთი შრომის ოფლით მოურწყავთ; გარდა იმისა, ხომ მოგეხსენებათ, „შეუჩვევად ჭირს შეჩვეული ჭირი სჯობიაო“. დასავლეთ ევროპაში თვითეულ მიწის მუშას ძალიან ცოტა მიწა მოუწევს. მაგრამ გადიოდა დრო, ადამიანთა მოთხოვნილება სულ უფრო და უფრო იზრდებოდა, საჭირო შეიქმნა იმაზე ზრუნვა, რომ ცოტა მიწა ბევრი ნაყოფი გამოეცა. ამ მიზნისათვის ადამიანები ცდილობდნენ გაეუმჯობესებიათ მიწის დამუშავების წესი და შრომის იარაღები, და როგორც კი ისინი შენიშნავდნენ ხოლმე მიწის დამუშავებას, მას მაშინვე გამოუყენებდნენ და აღარ დაივიწყებდნენ, სანამ კიდევ უკეთეს დამუშავებას არ მოიგონებდნენ. სწავლულებმა კი აღმოაჩინეს მიწის მუშების სხვა-და-სხვა გვარ გამოცდილებას, უფრო[illegible] მათ მეცნიერების დასკვნებს და იგონებდნენ ისეთ მეცნიერულ [illegible] შავებისას, რომლების შესრულებით მიწის მუშას შეუძლია უფრო დიდი სარგებლობა მიიღოს თავისი შრომისაგან. ამ სახით განვითარდა მუშაობის წესი და ადამიანისათვის შესაძლებელი შეიქმნა სულ მცირე მიწაზე ბევრი ჭირნახულის მოყვანა.

## სხვა-და-სხვა ამბები

მეორედ მოსვლის მოლოდინი. ამას წინად რუსეთის ერთი სოფლის, ბელავოკის, სექტანტები (სარწმუნოების თვისებურად აღმსარებელნი) მოელოდნენ ქრისტეს მეორედ მოსვლას. ამ მოლოდინში ისინი მთელ დღეებს მარხვაში ლოცვაში და სინანულში ატარებდნენ. საქმე იმაშია, რომ ერთმა გაქცეულმა ხუცესმა, რომელსაც თავი წინასწარმეტყველად მოჰქონდა, განაცხადა: მალე, ძალიან მალე მზე სამჯერაც ვერ მოასწრებს ამოსვლას, ციდანვარსკვლავები ჩამოცვივდება, მთვარე დედამიწაზე ჩამოვარდება, მზე ჩაქრება, იაკობის გზა („ირმის ნახტომი“) გაიხსნება და დიდებით გადმოვა იქიდგან ქრისტეო. ამ ქადაგებამ მცხოვრებლებს თავზარი დასცა და დაუყოვნებლივ მოხოვარებს დაუწყეს თავიანთი ქონება-საბადებლის დარიგება ზოგიერთი სექტანტები იმდენად დაეჯერებიათ ქვეყნის აღსასრულის მოახლოვებაზე, რომ დაურიგეს გლახებს ყველაფერი და უკანასკნელი პურის ქერქიც აღარ დაიტოვეს თავისთვის.

— რადად გვინდა მიწიური სიმდიდრეო? გაიძახოდნენ ისინი. ჩვენ სულიერი სიმდიდრე გვჭირია... სწორეთ ასეთი სიმდიდრე-კი ჩვენ ძალიან ნაკლებად გვაბადია. ამით მაინც რამოდენიმედ მოვინანებთ ჩვენს ცოდვებს.

სამლოცველოები ავსებული იყო მწუხარე ხალხით ტირილი და სულისკვეთება გამეფებული იყო ყველგან. მქადაგებელი-კი კიდევ უფრო აღვივებდა ცეცხლს ასეთი სიტყვებით:

— პირველად გაიწმინდება აღმოსავლეთი, აენთება ცა, დედა-მიწა, წყალი და ჰაერი. ვაი ჩვენდა, დაღუპულთა!

სექტანტები ისმენდნენ უოველსავე ამას და კიდევ უფრო ეძლეოდნენ სასოწარკვეთილებას.

— უფალო, გვაცხოვნე და შეგვიწყალე!..

— გამოქანება ვარსკვლავი, რომელსაც ცეცხლის კუდი ექნება და აღგვის დედამიწაზე ნახევარ კაცობრიობას; დასწვავს ყანებსა და ტყეებს და იქნება დიდი მწუხარება. ადამიანი ადგილს ვერ იპოვის ვერც ხმელეთზე, ვერც წყალში... და აი, როცა მწუხარება უსაზღვრო შეიქნება, მაშინ გაიხსნება ცა და დედამიწაზე გადმოვა თვით ქრისტე;

სამ დღესა და სამ ღამეს მოსთქვამდნენ საბრალო სექტანტები ქვეყნის აღსასრულის მოლოდინში; სამ დღე და ღამეს იმარხულეს მათ უჭმელა და უსმელად; მაგრამ მეოთხე დღეს ჩაფიქრდნენ და უნებურად დაეკითხნენ თავიანთ თავს:

— ეს რა ამბავია... სადაა მეორედ მოსვლაო! მოიცადეს კიდევ სამ დღე

და ღამეს მაგრამ ქვეყნის აღსრულებას არა ეშველარა.

— რა ამბავია ნეტავ, ეს? განცვიფრებით ეკითხებოდნენ ერთმანეთს გლეხები, რახანია, დრო მოვიდა... მაგრამ თუმცა მეორედ მოსვლისთვის დანიშნული დრო კიდეც დადგა და კიდეც წავიდა, აღმოსავლეთი-კი მაინც არ -ენთო და არა! პირ-იქით, თითქო განგებ დაიბურა ღრუბლებით და სოფელ ბელავოკზე თბილი სასიამოვნო წვიმა დაუშვა. ამ ჩვეულებრივმა ბუნების მოვლენამ სრულიად გამოაფხიზლა ჩვენი ცრუმორწმუნე სექტანტები და მაშინვე გაიქნეს ხელი ჯიბისაკენ. მაგრამ ვაი, რომ ჯიბე უკვე გამოფხეკოდათ. მივარდნენ სკივრებს და ბეღლებს, მაგრამ ყველგან პირდაღებულნი დარჩნენ. ადარაფერი დახვდათ მოსთქვეს ჩვენმა სექტანტებმა, მაგრამ ცოდვების შიშით-კი არა... ჭამა უნდოდათ.

—

შრომა და ძილი, როგორც უსაჭიროესი პირობები ხანგრძლივ სიცოცხლისათვის, დაწვრილებით და ვრცლად გამოიკვლია ინგლისელმა დოქტორმა ჯემს საიერმა, რომელიც მივიდა შემდეგ დასკვნებზე. ნორმალური ძილი არ უნდა აღემატოს 8 საათს. მაგრამ საყურადღებოა, რომ თანამედროვე მოღვაწეთა უმრავლესობას, რომლებიც მეცნიერების სხვა და სხვა დარიგებას ემსახურებიან, არასოდეს არ შეუწირავთ ძილისატვის 8 საათი. მაგალითად, ოქსფორტიის უნივერსიტეტის შესანიშნავ პროფესორ სინოლოგს ლეიგს, რომელიც ყოველ დღე დილის 3 საათზე დგებოდა, არასოდეს არ ძინებია 5 საათზედ მეტი და გარდაიცვალა 82 წლისა. ცნობილი ინჟინერი ბრუნელი დღე და ღამეში მუშაობდა 20 საათს. თავისი სიცოცხლის უმეტესი ნაწილის განმავლობაში თითქმის მთელ ღამეს მუშაობაში ატარებდა და ჩაიძინებდა ხოლმე თავის სავარძელში მხოლოდ სამი საათით, ხოლო, როგორც კი გაიღვიძებდა, მაშინვე მუშაობას მიჰყოფდა ხელს. მიუხედავად ასეთი გასაოცარი მუშაობისა, რომელიც ყოველ დღე მეორდებოდა, ბრუნელმა იცოცხლა ღრმად მოხუცებამდე. სერს ჯორჯ ელიოტს, შემდეგში ლორდ ტეფფილდს, რომელიც 3 წლის განმავლობაში ინგლისის ჯარს სარდლობდა გიბრალტარზე, ეძინა დღე და ღამეში არა უმეტეს 4 საათისა, რამაც სრულიადაც არ შეუშალა მას ხელი 86 წლამდე ეცხოვრა. ჰუმბოლტს მოხუცებულობის დროს ეძინა არა უმეტეს 4 საათისა, სიყმაწვილეში კი, როგორც თითონ ამბობდა, ორ საათსაც კმარობდა. დასასრულ, საფრანგეთის ცნობილი ენათ მეცნიერი ლიტრე, რომელმაც შეადგინა „ფრანგული ენის ისტორია“: ამ სახით ატარებდა ცხოვრებას: დგებოდა დილის 8 საათზე, მუშაობას ჩაუჯდებოდა 9 საათზე და მუშაობდა საუზმის მიღებამდე, 1-ლ საათზე კითხულობდა ხელნაწერებს თავისას და ჰგზავნიდა დასაბეჭდად ჟურნალში, 3 საათიდან 6-მდე იგი ადგენდა ლექსიკონს, 6 საათზე სადილობდა. ხოლო 7 საათზე ისევ მუშაობას ჩაუჯდებოდა და მუშაობდა შუა ღამემდი. ნაშუაღამევის 1-ლ საათზე კიდევ დაიწყებდა შრომას და ხშირად გათენებამდე მუშაობდა. ამის მიუხედავად, ლიტრემ იცოცხლა 80 წლამდე და აქედან ჯემს საიერი დასკვნის, რომ ხანგრძლივად სიცოცხლეს სრულიადაც არ უწყობს ხელს ბევრი ძილიო.

ჩვენის ფიქრით, ასეთი დასკვნა ხსენებული მეცნიერისა, ცოტა არ იყოს ცალ-მხრივადა აჩქარებული უნდა იყოს. ბევრი ძილი, რასაკვირველია, არ მოუხდება, პირ-იქით დაამძაბუნებს ადამიანის აგებულებას, მაგრამ ნამეტანი ცოტა ძილის მომაკვდინებელი გავლენაც აშკარაა ყველასთვის, ვისაც კი თუნდ მცირეოდენი უძილობა გამოუცდია. ხოლო თუ ზოგიერთ მეცნიერებს ცოტა ძინავთ, მაგრამ მაინც დიდხანს ცოცხლობენ, ეს ფაქტი შეადგენს არა საზოგადო მოვლენას. არამედ გამოკლებას, იშვიათ შემთხვევას, რომელიც ვგონებთ არ გამოდგება ჯემსის ზემოაღნიშნულ საზოგადო დასკვნისათვის. თქმა არ უნდა, რომ გონივრულად შრომა-მუშაობას და ცხოვრებას, რომელსაც მეცნიერები ეწევიან, დიდი გავლენა ექნება სიცოცხლის ხანგრძლივობაზე, მაგრამ ჩვენ ისიც შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ იქნებ ისეთ ძლიერი და არა ჩვეულებრივი ნიჭის პატრონთ, როგორც შესანიშნავი მეცნიერები არიან, აგებულებაც იმდენად არა ჩვეულებრივი ჰქონდეთ, რომ რაც ადვილად მოქმედებს ჩვეულებრივ მომაკვდავებზე, ის მათთვის ძალას მოკლებული იყოს.

## წვრილი ამბავი

უბედურება თეატრში. ბელგიის ქალაქ ანთვერლახში რაღაც სამხედრო წარმოდგენის დროს დიდი უბედურება მოხდა. სცენაზე ომის გამართული, რომლის მონაწილენი თოფებს ისვრიან, ზოგიერთ მომქმედ პირთ თოფები გატენილი ჰქონოდათ და ტყვიები დამსწრე საზოგადოებას მოხვდა. ერთი კაცი მოკლულ იქმნა, ხოლო რამდენიმე, მათ შორის ორი ბავშვი, მძიმედ დაიჭრა. ფიქრობენ, რომ ეს შურის ძიებით ჩაიდინა ერთმა სამსახურიდან დათხოვნილმა პირმაო. სასტიკი გამოძიება სწარმოებს.

—

ექსპედიცია ანდრეს საძებნელად. ამ ჟამად, ციმბირში გავლით იმყოფება შვედების ექსპედიცია ანდრეს მოსაძებნად. ეს ექსპედიცია შესდგება სამის წევრისაგან: სტანდლინგის მეცნიერების ქიმისაგან, ნიილსონისაგან და ინჟინერ ფრენკელისაგან. ექსპედიცია შემდგარია შვედელ ანტროპოლოგიურ და გეოლოგიურ საზოგადოებისაგან და მიზნად აქვთ ეძებონ ანდრე ყინულის ოკეანის ნაპირებზე და კუნძულებზე და გზაზე კიდევ მოახდინონ ზოგიერთი გეოლოგიური გამოკვლევანი. ამ ექსპედიციის გზა ძევს ირკუტსკზედ და ტომსკზე, შემდეგ წყალზე მდინარე ენისეის დაყოლებაზე. სხვათა შორის, ამ ექსპედიციას ბარონ ნორდენშილდისაგან ტომსკის უნივერსიტეტისათვის საჩუქარი მოაქვს იშვიათი კოლლექცია პეპელებისა და სხვა მწერებისა, ნორვეგიისა და სამხრეთის ქვეყნებისა რომლებიც ნორდენშილდს დაუგდია. ექსპედიციის წევრები რუსულად ლაპარაკობენ.

—

ანდრეს ძებნა. ამერიკელმა ველმანმა, რომელიც ჩრდილოეთის პოლუსისაკენ მიემგზავრება, ერთი გაზეთის მოამბის კითხვაზე: შეგიძლია თუ არა გაიგო რამე გამბედავის ანდრეს შესახებ, რომელიც თავისი შარით უგზოუკვლოდ დაიკარგა ცივ ქვეყნებშიო, მიუგო: „დიახ, შეიძლება, ჩვენ კიდეც ვნახოთ ანდრე ფრანც-იოსების ქვეყანაში, რადგან უკანასკნელი მისი ამბავი რომელიც შარშან 13 მაისს მტრედმა მოიტანა მისი გამგზავრების ორი დღის შემდეგ, გვაუწყებს, რომ იგი იმყოფებოდა შპიცბერგენის ჩრდილოეთით და მიემართებოდა აღმოსავლეთით პირდაპირ პრანც-იოსების ქვეყნისაკენ. ჭკვერის მეცნიერთა და ცივი ქვეყნების მოგზაურთა აზრით, თუ ანდრე და მისი თანამგზავრნი ცოცხლები არიან, ისინი იქნებიან ფლორის კონცხზე, ფრანც-იოსების ქვეყანაში, სადაც გარმსვორტის ექსპედიციამ დასტოვა მათთვის სადგომი და საკვები. მე წინადადება მივეცი მეფე ოსკარს ამერიკის მთავრობის შემწეობით გაჰგზავნოს შვეციერთა ჯარი ანდრეს საძებრად ფრანც-იოსების ქვეყანაში და ისიც სიამოვნებით დამყვა. სრული საფუძველი გვაქვს ვიმედოვნებდეთ, რომ თუ ეს გამბედავი მგზავრები აღმოვაჩინეთ სადმე იმ ადგილში, ჩვენ მათ შინ გამოვგზავნითო.

## დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

6 ივნისი

**ბერლინი.** არჩევანები. უკვე ცნობილია 317 არჩევანების ამბავი, ვათ შორის არჩეულ არიან 29 კონსერვატორი, 5 იმპერიის პარტიისა, 68 ცენტრი, 4 რეფორმის პარტიისანი, 5 ნაციონალ ლიბერალები 4 თავისუფალ მოაზრეთა კავშირისა, 32 სოციალ-დემოკარტი, 8 პოლონელი 1 დანიელი და 5- „გარეული“. შესანიშნავი ის არის, რომ სოციალისტების პარტია ძლიერდება.

**სან-ფრანცისკო.** აქედან მეორე ესკადრაც გავიდა ფილიპის კუნძულებისაკენ.

**პარიზი**, ფორმა კაბინეთის შედგენა მიანდო რიბოს, რომელმაც ითხოვა მადროვეთ ხვალამდინ გადაჭრილი პასუხის მოცემა, რათა მოველაპარაკო სხვა და სხვა დასების წარმომადგენელთაო.

**ნიუ-იორკი.** სანტ-იაგოს 16 ივნისს ამერიკის ესკადრამ ყუმბარები დაუშინა და დიდი ვნება მიაყენა სიმაგრეებს.

**მადრიდი** სანტიაგოს გუბერნატორი დეპეშით იუწყება, რომ ამერიკელებმა ათასი ყუმბარა ესროლეს ჩვენს სიმაგრებსაო, ზოგი ჩვენი ყუმბარები ამერიკის გემებსაც მოხვდაო.

**მადრიდი** ამბობენ რომ კამარას, ესკადრა ბოსტონისაკენ გაემგზავრა ამერიკის ნავთსადგურების გასანადგურებლადო ზოგნი-კი ამბობენ რომ კამარას ესკადრა ფილიპის კუნძულებისაკენ არის წასულიო.


## განცხადებანი

ჯომარჯიძის მამულში

ქირით სახლები

**იძლევა**

4 და 5 ოთახი

თავის ყოველი-ვე მოწყობილობით და მორთულობით. **ბორჯომში** (2—1)

ახლად გახსნილი

# სტამბა „ცნობის ფურცლისა“

ტფილისი, სასახლის ქ., სათავად-აზნაურო ქარვასლაში №№ 119 120 და 121

✦✦ სტამბა ყოველისფრით სავსე და მოწყობილია ✦✦

ყოველგვარი საქმე სრულდება სწრაფად. სუფთად და იაფად.

სტამბა ასრულებს აგრეთვე პროვინციის მცხოვრებთა შეკვეთას; მსურველნი მიჰმართავენ სტამბას, რომელიც კისრულობს ხელ-ნაწერების აწყობას, დაბეჭდვას, ქაღალდის ყიდვას, კორექტურას, ენის შესწორებას, საცენზუროდან ნება-რთვის აღებას და სხ.

ჰბეჭდავს სავიზიტო ბარათებს სხვა-და-სხვა გვარ ქაღალდზე ვაჟებისა და ქალებისათვის იაფად და შნოიანად.

ВО ВНОВЬ ОТКРЫТОЙ

# ТИПОГРАФІИ „Цнобисъ Пурцели“

В. Л. ГУНІА

Тифлисъ, Дворц. ул., д. Грузинскаго Дворианства.

Исполняются всевозможные закази на всѣхъ Туземныхъ и Европеискихъ языкахъ

**Дешевизна, изящество и быстрота исполненія**

# ურბენი L'urbain

საზოგადოება, რომელიც აზღვევს თანხებს, მზითვებს, შემოსავლებს და სხვა. შეღავათიანის პირობებით ავადმყოფობისა თუ შეუძლებლობის დროსათვის.

დაზღვეულთ მონაწილეობა ეძლევათ მოგებაში დაზღვევის პირველ წლიდანვე.

კონტორა ამიერ-კავკასიისა, ამიერ-კასპიისა, თურქესტანისა და ბუხარის მხრისათვის იმყოფება **ტფილისში**, მიხეილის ქუჩა № 9, პოპოვის სახლი. ტელეფონი № 543.

მთავარი რწმუნებული ბაგრატ გერასიმეს ძე ტერ-მათეუზოვი

ინსპექტორი ნიკოლოზ გერასიმეს ძე ტერ-მათეუზოვი.

ცნობანი და ბარათები ყველას მიეცემა აგენტებისაგან მთელს რუსეთის იმპერიის ქალაქებში.

Контора страховаго общ. „**УРБЭНЪ**“

Тифлисъ, Михайловская № 9, д. Попова. Телефонъ № 543.

(50—3)

# საზღვევი საზოგადოება „იაკორი“

**უმაღლესად** დამტკიცებული 1872 წელს მოსკოვში

ტფილისის უმთავრესი სააგენტო

ღებულობს

**დაზღვევას ცეხლისაგან**

ყოველ-გვარ უძრავ და მოძრავ ქონებისას.

**დაზღვევას სიცოცხლისა** და **თანხებისა**

შეღავათიანის პირობებით, მაგალითად შეღავათი იმ შემთხვევაში, როცა დაზღვეულს შრომა არ შეუძლიან და აგრეთვე დაზღვეულს სარგებლობა ეძლევა საზოგადოების მოგებიდან

**დაზღვევა უბედურ შემთხვევისაგან**

მიიღებიან საერთოდ დაზღვევა მუშებისა, ქარხნებსა და სახელოსნოებში, აგრეთვე დაზღვევა კერძო პირებისას

**დაზღვევა გაგზავნილ საქონლებისა**

ზღვაზედ, მდინარეებზედ თუ ხმელეთზედ, აგრეთვე დაზღვევა გემებისა

თხოვნებით და ყოველ-გვარ ცნობათა შეხატყობად დაზღვევაზე შეიძლება იჰმართონ ტფილისის კონტორაში უმთავრესს აგენტს ალექსანდრე გრიგოლის-ძეს სერგეევს, ერევნის მოედნის ყურში თავ. ციციშვილის სახლებში № 2. და აგრეთვე მოსკოვში საზოგადოების გამგეობაში.

**Страховое Общество „ЯКОРЬ“**

**Высочайше** усвержденное въ 1872 г. въ Москвѣ

**Принимаетъ:** 1) Страхованіе отъ огня, 2) страхованіе жизни и капиталовъ, 3) страхованіе отъ несчастныхъ случаевъ и 4) страхованіе транспортовъ.

**Контора Тифлисскаго Главнаго Агента Александра Григорьевича Сергѣева**

на углу Эриван ской пл д. кн. Цицінова № 2. (50—25)




ეროვნული ბიბლიოთეკა